


**№ 36** – 1916
კვირა, ენკენის. 4

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ წლიურად ღირს 5 მ., ნახევარ წლით 3. თითო 12.

წელ. მეოთხე
გამოცემისა

რედაქციის მისამართი: Г. Тифлисъ, ред „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.



**ჰარიეტ ბიჩერ სტოუ**

გარდაცვ. 20წ. შესრულების გამო იხ. ამავე №-ში „მონათა განთავისუფლების მქადაგებელი“



**ო. თუმანიანი** — სომეხთა სახელგანთქმული მგოსანი, თავმჯდ. სომ. სიტ.-კავ. საზ-სა.

**პ. პროშიან†** — სომეხთა ცნობილი მოთხრობათა მწერალი.

**ყ. ალაიანი (†)** — პედაგოგი, საყმაწვილო ამბავთა მწერალი, მართლწერის შემომღები

მორიგი მეთაური
„ცხოვრების ბრჭყალებში"
ვერ იბეჭდება.

# მხოლოდ დადგენილება

**(სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა)**

ვის არ ახსოვს ის სიტყვათა საამურობა, რომელიც ამ ორი წლის წინად ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობას მჭევრმეტყველ ბაგეთაგან ეფინებოდა... ამავე დროს ვინ არ იცის საერთო ფრაზა: „სიტყვით ყველაფერი და საქმით არაფერი"-ო.

ვსწუხვარ, რომ ამ ფრაზის უთქმელობას ვერც მე გადავრჩები და ჩვენი თეატრის მესვეურთ საქმის შეფერხებისათვის საყვედურის ღირსად გავხდი.. ეს იმიტომ, რომ მაშინ ბევრ რასმეს დაგვპირდნენ, ხელში კი მხოლოდ ფურცლებზე ჩამოწერილი პუნქტები შეგვრჩა.

მართალია, ჩვენი თეატრი უღვთო ცეცხლმა ძირს დასცა; მართალია ომის ძლიერებამ თითქმის ყველა და ყოველივე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მაგრამ სწორედ ეს „ჭირსა შიგან ყოფნა" ბრწყინვალე შოთას ქვეყნის შვილთ უფრო უნდა გვაქვითკირებდეს. ასეც რომ არ იყვეს, იმ დადგენილებათა შორის არის ისეთი მუხლებიც, რომლებიც შესაძლებლობას დღეს უფრო ჰპოვებს. აი, თუნდ მეექვსე მუხლის (შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა) ერთი ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „ყრილობა აგრეთვე სურვილს აცხადებს, რომ დრამატიულ საზოგადოებებმა და წრეებმა ყოველ წარმოდგენიდან გადასდოს არა ნაკლებ ერთის მანეთისა მომავალ დრამატიულ კურსების ფონდისათვის"...

ეს დაადგინა იმ ყრილობამ, რომლის წევრებად იყვნენ წარმომადგენელნი იმ საზოგადოებათა, რომელთაც ეს გადასახადი დაევალათ. დაბრუნდნენ შინ და რა გააკეთეს? მტკიცედ ვიტყვით: არასფერი!.. მხოლოდ ერთმა, დ. ცხინვალის წრემ გაიღო ეს თითო მანეთი (სამი წარმოდგენის ფული ჩემთან ინახება), სხვებს კი ხმაც არ ამოუღიათ. რად ხდება ასე?!. მიზეზი ისევ ის დაუდევრობაა, რომლის შესახებ მრავალჯერ გვიტირნია.

უხერხულობა იქნებოდა დღესდღეობით დრამატიულ კურსების დაარსების მოთხოვნა; მაგრამ საქმე რომ წინ წაგდებული გვექნება, მაშინ ხომ უფრო საკეთილო და სათაყვანებელი გავხდებით. ადრე თუ გვიან ხომ მოვესწრებით საკუთარი კერის აღიზღიზებას, და უფრო ძალოვნად გასახურებელი შეშა მერე უნდა ვეძიოთ? მანამ ხომ კვლავ ჩაქრება ის ღვთიური ცეცხლი, რომელიც მთელ საქართველოს გაშუქებას უქადის და რომლის საფერფლეს მეტი გამაშუქებელი ნაპერწკალი ეჭირვება.

ამ ბოლო ხანებში რომ ყოველ დაბა-ქალაქში და უბრალო სოფლებშიაც კი წარმოდგენები იმართება, იმდენს საქართველო არ მოსწრებია.. ერთხელ მაინც ატომ არ იგონებენ ამ ყრილობის გამმართველნი თავიანთ დადგენილებათა მუხლს?! ერთი მანეთი განა ისეთი რა გახდა, რომ შემოსავლიდან მისი გადადება ძნელი იყვეს!.

მაშ ასე!.. წუწუნს, კინკლაობასა და ლაპარაკს თავი დავანებოთ და საქმეს პირდაპირი მსვლელობა მივსცეთ. აქამდის დადუმებულმა, აღნიშნულ კურსების დამაარსებელმა კომისიამ გამოიღვიძოს, ერთხელაც არის შეიკრიბოს და ხალხს მისცეს ერთი მისამართი, რომლითაც დრამატიულ წრეთა და კერძო საზოგადოებათ ხვედრი ფულის გამოგზავნის შეძლება ექმნებათ. თვით ამ წრეებმა კი უნდა მეტი სულგრძელობა იხმარონ, რომ თავიანთი დაწყებული საქმე კეთილად დააგვირგვინონ. ამ მანეთებს ცალ-ცალკე გამოგზავნიან, თუ შეგროვებით, სულ ერთია.. საქმე ის არის, რომ ამით საქმე ეშველება ჩვეულებრივ უმოძრაობას თავს დავაღწევთ და საშვილიშვილო საქმის საძირკველს დროის შესაფერისად ჩავყრით.

**მიხ. კიაზოშვილი**

## წერილი

ქალო, წერილს გწერ, მაგრამ სიტყვებზე
უფრო ბევრია კოხტა წერტილი.
ეს იქ ვიხმარე, სადაც გრძნობაა,
სადაც სიტყვაა გადაწყვეტილი.
და რომ გწერდი საიდუმლონი
შავს წერტილებში იმარხებოდენ.
ახ! სატრფოვ, სატრფოვ! ამას ვინატრი:
ნეტა, წერტილნიც იკითხებოდენ!..

**ქ. რატიშვილი**

# დაღუპულ მებრძოლს



პორ. გაბ. დავ ხოფერია
გმირულად ბრძოლის სდროს მოკლულ
იქმნა მამახათუნთან (ოსმალეთის მხარეზე)

შორს, უცხოეთში, უცხოებთან, ბრძოლისა ველზე
ობლად დარჩენილს უნუგეშოდ სული გხთებოდა,
არავინ გყავდა, მიჰყრდნობოდი გულზე, ან ხელზე,
არვის ხედავდი ვინც გიყვარდა, გენატრებოდა.

—

ეგდე მკვნესარე ზარბაზანი კი გრიალებდა.
ირგვლივ დაჭრ-ლით, ირგვლივ მკვდარით ამონაშენი,
ფოლადის ტყვია დაფრინავდა, დასრიალებდა,
დედის მაგივრად იგი იყო მომვლელი შენი.

—

რა დააშავე ცხოვრება რომ ალარ დაგცალდა?!.
შენ ღმერთმა მოგცა სიცოცხლე და თავისუფლება,
ადამიანმა კი მოგისპო, არ შეგიბრალა,
ვიცოდე მაინც, ვინ, ვინ მისცა ამის უფლება?!

—

ჩაჰქრა სიცოცხლე, ჩაიფერფლა ჭაბუკი გული,
თანვე წაიღო სოფლის ზრახვა, ტანჯვა და წყენა,
მოკვდა იმედი, მოკვდა რწმენა და სიყვარული,
მტრის ცხელი ტყვიით სამუდამოდ დადუმდა ენა.

—

მეფობს ზაფხული და არ გვალხენს ბულბულის სტვენა,
სიცოცხლეს სწამლავს გამარჯვებულ ყორნის ჩხავილი,
რამდენს მოესპო მომავალისა იმედი, რწმენა,
რამდენს დაუჭკნა ნორჩი გულის ნორჩი ყვავილი...

**საფო მგელაძე**

# მონათა განთავისუფლების მქადაგებელი

**ჰარიეტ ბიჩერ სტოუ** (სურათი იხ. პირველ გვერდზე)

ისტორიას ბევრი ბრწყინვალე სახელი ახსოვს...

ამ სახელთა შორის ბრწყინავს სახელი ამერიკელი მწერალი ქალის ჰარიეტ ბიჩერ-სტოუსი, რომლის გარდაცვალების ოცის წლის თავი წელს შესრულდა.

ვინ იყო და რა გააკეთა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუმ?

ვინ იქნება ისეთი წერა კითხვის მცოდნე, რომ წიგნი „ბიძია თომას ქოხი“ არ წაეკითხოს ან არ გაეგონოს?

აი, ამ წიგნის დამწერია ბიჩერ-სტოუ.

ის დრო, როდესაც ჰარიეტ ბიჩერ-სტოუმ ცხოვრება-მოღვაწეობა დაიწყო, შავბნელი დრო იყო ამერიკელი ზანგებისთვის.

ადამიანს ადამიანი საქონლად, პირუტ-

ყვად, გარდაექცივნა: მას ისე ხმარობდა, როგორც უბრალო ნივთს.

ერთის მხრით უფლება მოსილი, სრულ უფლებიან მოქალაქედ აღიარებული თეთრ კანიანი, მეორე მხრით უუფლებო, შავ კანიანი, რომელიც პირველს დაემონებინა...

ადამიანი ადამიანზე ნადირობდა..

და ვინ ჩამოსთვლის უსამართლობა სადამდე იპარპაშებდა, ქვეყანას მადლიანი ადამიანები და, მათ შორის, ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ რომ არ მოევლინებოდა?!

ამ სუსტმა არსებამ—ქალმა მთელი თავის ქალური გულწრფელობით და სინაზით იგრძნო თვისი დროის სიხიზღრობა, და თუმცა თვით გაბატონებულთა წრეს ეკუთვნოდა, დამონებულთ მიუდგა, მათი ბედშავი ცხოვრება აღწერა და ქვეყანას მოუწოდა—მოსპეთ მონობა, ადამიანი ადამიანის მონა არ უნდა იყოსო...

და მისს მედგარ მოწოდებას უსმინეს, მისმა სიტყვამ გასჭრა..

ჰარიეტი დაიბ. 1812 წ., დიდხანს მასწავლებლობდა თვის დის მიერ დაარსებულ ქალთა სკოლაში. 1836 წ. ცოლად გაჰყვა ღვთისმეტყველების პროფესორს სტოუს, ანდოვერში. ჰარიეტი ქმარშვილით ხელმოკლედ ცხოვრობდა, თვითონ სუსტი აგებულების იყო, მთელი დღე ოჯახს უნდებოდა, მაინც სამწერლოდაც იცლიდა: ღამ-ღამობით სწერდა. დაწერილ აქვს ლექსები, უმთავრესად სარწმუნოებრივი შინაარსისა, რავდენიმე მოთხრობა და წერილი. მაგრამ მან მსოფლიო სახელი გაითქვა განსაკუთრებით „ბიძია თომას ქოხი“-თ. თავის ნაწერებში იგი მხურვალედ მოითხოვდა ქალთა განათლებასა და მონათა განთავისუფლებას. მისი რომანი, „ბიძია თომას ქოხი“ (პირველი თავი დაიბეჭდა 1851 წ. სრულიად—1852 წ.) ახალი სიტყვად, არაჩვეულებრივ მოწოდებად მოესმა კაცობრიობას და, როგორცა ვსთქვით, ძლიერ ხელი შეუწყო მონებით ვაჭრობის გაუქმებას. ეს წიგნი ამერიკაში პირველს წელს დაიბეჭდა 350000, ინგლისში 35-ჯერ, გადითარგმნა ოცამდე სხვა და სხვა ენაზე; რუსულად გამოვიდა ბატონ-ყმობის გაუქმების წინახანებში და ბატონ-ყმობის გაუქმება დააჩქარა. ქართულად ორჯერ ითარგმნა, პირველად ოლგა ბეჟანიშვილის მიერ, შემდეგ მ. კლიმიაშვილის მიერ (საუცხოვო გამოცემა „ნაკადულის“ საჩუქარი 1913 წ.)

ბიჩერ-სტოუს ამ რომანის დაწერის გამო თანამემამულეებმა ბევრი საყვედური უთხრეს, გადამეტებულიაო, მაგრამ ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ არ შედრკა და ახალი წიგნი „გასაღები“ დასწერა—რაც ჩემს წიგნში აღვწერე ცხოვრების სინამდვილიდან მაქვს ამოღებულიო და „ბიძია თომას ქოხში“ მოთხრობილი ამბები ხელახლად უტყუარი საბუთებით დაადასტურა.

მდიდარი მებატონენი ისე გაბრაზდენ, რომ მის წიგნს ხელში ჩაიგდებდენ თუ არა, მაშინვე სწვავდენ, ხოლო მათი მომხრე მღვდელნი ეკლესიაში კიცხავდენ წიგნსა და მის დამწერსაც.

მიუხედავად ამისა, ჰარიეტს მრავალი მკითხველი მეგობარი გაუჩნდა. განსაკუთრებით ბავშვებს, მოზარდებს მოსწონდათ მისი წიგნი.

დღესაც იგი თავისი წიგნით გვარიგებს: „გახსოვდეთ რომ ქვეყანაზე ბევრი დაჩაგრული ადამიანია. წრფელი გულით გისურვებთ, ჩემმა მოთხრობამ ჩაგინერგოთ გულში მათი სიბრალული მზათ იყოთ იმათ საშველად ხელი გაუწოდოთ“

ქართველი მკითხველიც ამ წიგნს მუდამ სიამოვნებით წაიკითხავს და უკეთესი ცხოვრების მოსაახლოებლად აღიჭურვება.

სამართლიანობის, სიყვარულისა და უკეთილშობილეს მისწრაფებათა განცდა-გავრცელება ვისაც ენატრება—ამ წიგნს დაეწაფება...

ეს მადლიანი ადამიანი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში 1896 წ. 84 წლისა.

კურთხეულიმც იყოს ხსენება იმ ადამიანის—ამერიკელი მწერალი ქალის ჰარიეტისა,—რომელმაც ადამიანთა ასამაღლებლად ძალღონე არ დაზოგა და მიზანსაც მიაღწია:

საზიზღარ მონობის მოსპობას ძლიერ ხელი შეუწყო.

მისი სახელი უკვდავი იქნება.

**იოსებ არიმათიელი.**

# დიდებული საიდუმლო

მოთხრობა

... ყოველი წარსული იმას მოუგონებელი სიზმარი ეგონა—საშინელი აწმყო გამეფებულიყო ქვეყნად და მოესპო წარსულიც და მომავალიც; მარტო ის იყო სინამდვილე, ყველაფერი სხვა-კი ოცნების ფუჭი ნაყოფი.

როგორ და როდის გაჩნდა აქ ის, არ ახსოვს და, მხოლოდ იცოდა, რომ სხვებთან ერთად იგიც ეგდო ველზე... ეგდო გაუნძრევლად უსინათლო, გამქრალი თვალებით მისცქეროდა მეზობელს, რომელსაც გაპობილი თავი ბალახებში შეემალა და სამუდამოთ დადუმებულიყო.

საშინლად სტკიოდა იმას თავი სტეხდა, ცეცხლი ენთებოდა ტვინს—ასე ეგონა, ურიცხვო გველები დასრიალებდენ შიგ და სჭამდენ, შხამავდენ მთელ იმის არსებას.

ზაფხულის მზე გადახრილიყო დასავლეთისაკენ, მაგრამ იმის სხივებს ჯერ კიდევ არ დაეკარგათ სიძლიერე და სწვავდენ, ლურსმებივით ესობოდენ თავში.

გარშემო ისმოდა რაღაც გაურკვეველი და გაუგებარი, მაგრამ წვალებით და სიმწარით სავსე სუსტი ხმები. დრო-გამოშვებით საიდანღაც უცნაური გრგვინვა მოისმოდა, და შემკრთალი დედამიწა კანკალებდა.

თითქო ცეცხლით სუნთქავდა გახურებული მიწა და ალს უბერავდა სახეზე. ველარ გასძლო, ძლივს წამოდგა ხელებზე, ასწია დამძიმებული თავი და გაიხედა. საზარი სურათი გადაეშალა თვალწინ... საშინელი სიკვდილის სამეფოდ გამხდარიყო ქვეყანა.. მომშხამავი ცხედრის სუნი იდგა ველზე. მტვრის და ხმელი ბალახების მაღალი სვეტი იკლაკნებოდა სიცხიან ჰაერში, დასეირნობდა ველის სივრცეზე და ჯოჯოხეთის ფერხულს უვლიდა მკვდრებზე. ცოტა მოშორებით უსუფთაო წყლის პატარა ტბა იდგა, წითლად შეღებილი, და შიგ მოსჩანდა გადახრილი მზე რომლის ცელქი სხივები კრთოდენ, ნაზობდენ წითელ მორევში. იქიდან ამოსულნი იფანტებოდენ და ვარდისფერ შუქს ჰფენდენ ბალახებს.

— ეს რაა? ნუ თუ ნათელ სხივებსაც ჰყვარებიათ სისხლი? როგორ თამაშობენ და ელვარებენ შიგ!—ჩალაპარაკა გულში და თვალი მოაშორა, ხელები დაჟლალა, ჩაეკეცა და ისევ დაეცა პირქვე გახურებულ მიწაზე.

უკვირდა, რომ ერთი აზრიც არ მოეპოვებოდა თავში—იქაც გამეფებულიყო რაღაც სიცარიელე.

მხოლოდ ეს ახსოვდა წარსულიდან:

ის ერთ დროს დარწმუნებული იყო ადამიანის სულიერ სიძლიერეში, სჯეროდა, რომ ყველა ადამიანში არის მიმალული ღვთიური ნაპერწკალი, არის მიმალული, მიძინებული და არც ჩაჰქრება არაოდეს: იქნება შეუმჩნევლად, მოიკრეფს ძალას, გაღვივდება, დასდგავს და მოსპობს ადამიანის არსებაში ყველა დაბალ გრძნობას და მისწრაფებას, და მაშინ ადამიანი ამაღლდება მიუწდომელით—თვით ღვთაებასაც გაუსწორდება... სჯეროდა, რომ ზეცა ერთ დროს ნატვრით და შურით გადმოჰხედავს განახლებულს ქვეყანას, რომელსაც მოევლინება თავისი ვარსკვლავები, უფრო კაშკაშა და ნათელი, ვიდრე ცის მნათობნი... დარწმუნებული იყო, მაგრამ ახლა-კი...

და ღრმად ჩაეძინა.

—

როცა გამოიღვიძა, უკვე ღამეიყო. -სერ სავსე მთვარე ამოგორებულიყო, გაერეკა ვარსკვლავები, გაჭაეხურა ღრუბლის სამგლოვიარო დოლბანდი და მიეშურებოდა ზევით, თითქო უნდოდა ჩქარა გადაევლო ცის კამარა და წაეღო საშინელი ამბავი. ისევ ისმოდა შორიდან საზარი გრგვინვა, და იმის საპასუხოთ მძიმედ კვნესოდა დედამიწა. ეძინა სიკვდილის ველს. აქა იქ ზოგჯერ გაინძრეოდა რაღაც და არღვევდა დუმილს წვალების ხმით. ის იჯდა და გაოცებით ავლებდა თვალს ველის სივრცეს.

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!—უცებ შეარყია თბილი, მოშხამული ჰაერი უცნაურმა სიცილმა, გადაიარა ველი და სადღაც შორს ამოჰკვეთა საპასუხო სარხარი.

— ამ წყეულებს რა ტკბილად სძინავთ... სახლში დაეძინათ არ სჯობდა?—გადახედა მეზობელს, რომელიც ისევ ისე პირაღმა ეგდო, კიდევ მოავლო თვალი ველს, ახედა მთვარეს და მეორედ გადაიხარხარა:

— ახლა უნათებს ეგ უსირცხვილო, ახლა... აღარ აძინებს დაქანცულ ხალხს!

თავი ევრე აღარ სტკიოდა,—მარტო ერთ ალაგას გრძნობდა ზოგჯერ ჩხვლეტას.

— გამოსულან წყეული გველები... მარტო ერთი დარჩენილა—ჯერ ვერ გამძლარა დღუპული... გამოდი, გამოდი, წყეულო ჩქარა! დაიყვირა და გადაისვა თავზე ხელი, მაგრამ დავიწყებოდა, რომ ჭრილობა ჰქონდა, უცებ გაჰკრა თითი და საზარი ხმით დაიკივლა:

— ვაიმე, მიშველეთ, შემჭამა გველმა!

როცა ტკივილმა ცოტა გაუარა და გონს მოვიდა, წამოდგა, მივიდა მეზობელთან, ფთხილად გადააცალა ბალახები, დაადო ხელი გულზე და გააქანა:

— ძმაო, ვიღუპები... რა დროს ძილია, გაიღვიძე... მიშველე... თავი გამევსო გველებით,—შეეხვეწა, სახე დაეღრიჯა და გადმოყარა ცხარე ცრემლები:—ყველას სძინავს, მე კი მარტო ვარ მიტოვებული...

— ეი, არ გესმის?—დაიყვირა და მრისხანედ დააცქერდა სახეზე მეზობელს, რომელსაც ფართედ ჰქონდა გახელილი ორივე თვალი და მისჩერებოდა ამაღლებულს მთვარეს, თითქო სცდილობდა ამოეკითხა რამე იმის კრიალა სახეზე.

და დაუნახა იმას მარჯვენა თვალში: ბნელ სიღრმეში კრიალობდა რაღაც მნათობი ნაპერწკალი,—სუსტი, მკრთალი, მაგრამ მეტად ნაზი და მშვენიერი.—კრიალობდა, ეთამაშებოდა და უღიმოდა ღრუბელ-მოხდილ მთვარეს.

მოუშორებლათ, გატაცებით ჩასცქეროდა ის მშვენიერ ნაპერწკალს; სახეზე უსაზღვრო სიხარული ეხატებოდა. ბოლოს თვალი მოაშორა, თავი დაეშვა ორივე ხელებზე და ჩუმად დაჰყო რამდენიმე წუთი: ეტყობოდა, რაღაცას იგონებდა, რაღაც დაკარგულ აზრს დაეძებდა. და აჰა, იპოვა კიდეც: მეტის მეტი აღტაცებით და აღელვებით თავი ვერ შეიკავა და გადაიხარხარა:

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა .. თურმე აგერ არ ყოფილა... ახლა გამოჩნდა ეგ დალოცვილი?

მაგრამ გაიფიქრა, რომ ხმამაღლა ლაპარაკით და სიცილით შეაშინებდა იმას და ისევ გაჩუმდა.

კანკალებდა, კრთოდა პატარა მნათობი, თითქო იხუთებოდა ჩამწყვდეული და ცდილობდა ამოსვლას სიბნელიდან.

ამასაც დააწყებინა კანკალი; გული უცემდა; ოფლში იწურებოდა,—ძლივს სუნთქავდა, რომ არ დაეფრთხო და არ დაეკარგა შვენიერი.

ასე შეჰხაროდა და გულში ეალერსებოდა ტურფას, მაგრამ... შიშით ამჩნევდა, რომ ის თან და თან კლებულობდა, ჰკარგავდა სინათლეს და აჰა, ბოლოს ძლივს მოსჩანდა უფერულ წერტილად, რომელიც, ასე ეგონა, უფრო შორს მიდიოდა და იკარგებოდა ბნელ სიღრმეში.

და მართლაც დაიკარგა. მთვარემ უფრო აიმაღლა და ამოეფარა შავი ღრუბლის ვეებერთელა ნაგლეჯს.

გულში თითქო რაღაც ჩამოსწყდა, თვალები ცრემლებით აევსო, ჩუმად დაჯდა და მორთო ქვითინი,

— ისევ დაიკარგა... ვერ გაბედა ამოსვლა, იქნება მე დავაფრთხე.—ფიქრობდა ის და თვალს არ აშორებდა მეზობლის მკვდარ სახეს: იმედობდა, რომ კვლავ დაინახავდა პატარა მნათობს.

**გაბრიელ გოგუაძე**

(დასასრული იქნება)

***

**ვუძღვნი ნ—ს**

ოდეს ვამჩნევ მე შენს ლაწვზე
გაბრწყინვებულ ცხარე ნამსა,
მეც მაწვება ცრემლი თვალზე,
ვემონები სევდას შავსა.
მინდა გული განგიკურნო,—
ვემალამო შენსა წყლულსა,
სიხარული დაგიბრუნო
და შეგყარო სიყვარულსა...
შენ არ იცი ეს, ძვირფასო,
შენ ვერ ატყობ ჩემს ტანჯვასა
და ეჭვებმა მეც აღმავსო,—
რათ ვაწამებ შენთვის თავსა?
ნუ დამზოგავ, შემაბრძოლე,
ზღვის სტიქიონს, მეხს და ქარსა,
მხოლოდ გრძნობით ამათრთოლე,
ნუ დამიხშობ გულის კარსა!...

**დარია ახვლედიანისა**

# თანამედროვე მსახიობი და მისი ტრაგედია

არც ერთ ხანაში არ ყოფილა მსახიობი იმისთანა ცუდ მდგომარეობაში, როგორც ამ ჟამად იმყოფება. ეს, ერთი შეხედვით, გასაოცარიც უნდა იყოს. მართლაც და რად უნდა იყვეს ცუდ, შეუფერებელ პირობებში ახლანდელი მსახიობი, როდესაც ახლა უფრო შეძლება ეძლევა, თავისი ნიჭი განავითაროს, გაავრცელოს და შეიმუშაოს; როდესაც ბევრად უკეთესად შეუძლიან ამოჰკრიფოს საჭირო მასალა თავისი დაუშრეტ შემოქმედებისათვის?! გავიხსენოთ უწინდელი ეპოქები, როგორ სასტიკ პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობას?. მსახიობთ სდევნიდენ, მათი შემოქმედება არ ფასდებოდა და გაუგებარი რჩებოდა. იგინი მასხარებად, უბრალო კომედიანტებად იყვნენ აღიარებულნი. არ იყო სკოლა, არ იყო ტეხნიკა. სცენის მოწყობილობა ხომ ჰბორკავდა და სრულიად აქარწყლებდა მსახიობის შემოქმედებას.

ახლა?—ახლა ტეხნიკამ იქამდე მიაღწია, რომ სცენაზე როგორი ილიუზიაც გნებავთ—შექმნით, ახლანდელი სკოლა ნებას გაძლევთ შეისწავლოთ სასცენო ხელოვნება და ჩასწვდეთ მის მიზანს, მოთხოვნილებასა თუ მისწრაფებას. და, უოვედივე ამის მიუხედავად, ახლანდელი მსახიობი დიდ ტრაგედიას განიცდის.

რა არის მიზეზი?..

თანამედროვე ცივილიზაციამ უცნაურად იცვალა ფერი. ხელოვნებაში ჰარმონიის მაგივრად მან—დისჰარმონია შეიტანა. თითქოს ხელოვნების ბორბალი გადაატრიალა და მისი ესთეტიკა ჩააქრო! როგორც რუსეთის, აგრედვე მთელ ევროპიულ სცენებზე მწყობრი სასარგებლო რეპერტუარის მაგიერ რაღაცა სუმბური მეფობს. ადამიანს-ესთეტს თვალი და ყური დაეღალა სხვა და სხვა სენსაციური პიესებით, სადაც არც შინაარსია და არც რაიმე იდეა. ფართო ხალხი, ბრბოკი ძალიან ეწაფება ამ გვარ პიესებს. ოღონდ ფარსი იყვეს, პიკანტიური კომედია, პიესა მეტად მსუმბუქი და აფექტიური, და საკმაოა რომ მოხიბლოს გარყვნილი გემოვნება. საზოგადოების უმრავლესობა კი არ ჰკითხულობს და სრულიადაც არ დაგიდევთ, თუ პიესა როგორ იქმნა შესრულებული: ხელოვნურად, თუ ხელოსნურად?! ეს არ აინტერესებს მათ და, რასაკვირველია,, სიცილ-ხარხარის დროს არც მსახიობის შემოქმედებას გაარჩევენ. ხშირად-კი მსახიობი ამით სარგებლობს და მხოლოდ ხელოსნობს. და არც შეიძლება, ჩვენის აზრით, ხელოვნური შესრულება იმ გვარი პიესების, სადაც პიესის მაგივრად მხოლოდ ბუფონადაა, სადაც მხოლოდ მანჭვაგრეხაა საჭირო, იაფი ეფექტები და პიკანტიურ ტრივიალური მიხვრა-მოხვრა. ეს ერთგვარი ყალიბის პიესები გახლავთ, რომლებიც დიდ გასავალშია და ზედი ზედ იდგმის. არის მეორე კატეგორიის პიესებიც, რომლებიც ცოტა მაღლა სდგას ამ უაზრო პიესებზე, თავისი შინაარსით ანუ რაიმე იდეით. მაგრამ, საუბედუროთ, ეს იდეა ავტორის მიერ რიგიანად ვერ არის შესრულებული, რადგან თანამედროვე ცხოვრების, თუნდა მისი ბანალური მხრის, მკაფიო და მარტივი გამომხატველი —არაა. მთელ პიესაში ვერ იპოვით ერთ იმგვარ მხატვრულ პიროვნებას, რომ ხელოვან—მსახიობს შეეძლოს თავისი შემოქმედებით სული ჩაუდგას და გააცოცხლოს. და, აი, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ თანამე დროვე მსახიბის ტრაგედია. რა ჰქნას მან, როგორ მოუდგეს ამ გვარ პიესებს. როგორ შეასრულოს თავის მოვალეობა? იგი ხომ ხელოვანია, ხელოვანი მეტად მაღალი და უწმინდესი, ფაქიზი და მგრძნობიარე სულის პატრონი, ძლიერი შემომქმედი და, როგორც პოეტს, თავისი მუზა ჰყავს. მერე როგორ მოიმართოს თავისი ჩანგი? მის წინ ფართო ასპარეზი უნდა იყოს... ვრცელი, დიდი მინდორი... ვარდ-ყვავილით მოფენილი, რომ მოჰკრიფოს იგი. შეჰკრას მშვენიერი თაიგული და მისი სურნელობა გაუნოსოთ!! მაგრამ ამის მაგიერ რას ვხედავთ, როდესაც მსახიობის წინ მერალი ჭაობია და მხოლოდ მის წუმპე ტალახს გაწვდით იგი?!

სამწუხაროდ, თანამედროვე მსახიობის ტრაგედია მარტო ამით არ განისაზღვრება... არის თეატრები, სადაც რეპერტუარი შერჩეული აქვთ, სადაც სასტიკად იცავენ ხელოვნების ტრადიციებს, სადაც კლასიკური, სიმბოლიური პიესები სჭარბობს რჩეულ თანამედროვე პიესებს. მაგრამ მსახიობი აქაც არა ნაკლებ ტრაგედიას განიცდის, აქაც იგი ფრთებ მოკვეცილია.

მერე ვინ შებოჭა მსახიობის შემოქმედება? ამაზე შემდეგ...

ვ. გარრიკი

## ო. თუმანიანიდან

(სომხურიდან)

ღმერთო! კვამლივით განიფანტა ჩემი ცხოვრება.
გამიხმენ ძვლები, ვით წალაში მზეზე დაყრილი.
გული ამოშრა. გზა ამებნა სევდით გატანჯულს
და ჩავიკეცე, დავეცი ძირს ძარღვებ-დაჭრილი.

მე ჩემი ლუკმა სხვის სამადლოდ გარდამქცევია;
მე დასვენება მხვდება მხოლოდ დევნილთა გზაზე;
დღე მეწამლება ბნელ ამბებით, ბრაზიან ხმებით,
ღამე—ყრუ მოთქმით და ქვითინით ჩახლეჩილ ხმაზე.

როგორც ბეღურამ, როგორც ჭოტმა ეკლის ბარდეში,
მარტოობაში მე წამების უღელი ვზიდე,
და-- ღმერთო ჩემო!—მე დავსუსტდი, ძალა წამერთო...
ნუ თუ ჯერ შვება, წამი ხსნისა, შორს არის კიდე?!

კ. ჭიჭინაძე




**პოდ. ალ. კონ. მკურნალი**
გიორგიის კავალერი მოკლულ იქმნა ბრძოლის ველზე დასავლეთის ასპარეზზე. მამაცობისთვის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. დაკრძალეს ქუთაისში, მარიამ, 16

## ოქროს ღილი!..

(სოვდაგრებს)

დადგა ჟამი განკითხვისა:
გვაძლევს მწარე გაკვეთილებს,—
და თქვენ მასში მომავლისთვის
ურცხვად ეძებთ ოქროს ღილებს.

როცა ველი ველარ იტევს
დაჭრილსა და დახოცილებს,—
თქვენ ქისები გაგიხსნიათ:
სისხლში ეძებთ ოქროს ღილებს!

როცა შავით შემოსილი
დედა სტირის პირმშო შვილებს,
თქვენ იცინით მხიარულად,
ცრემლში ეძებთ ოქროს ღილებს...

როცა ცეცხლის ქარიშხალი
გარს არტყია გმირთა-გმირებს,—
თქვენ ფერფლებზე დასეირნობთ,
ცეცხლში ჰკრეფავთ ოქროს ღილებს...

აი, ვაშა! გამოსჭედეთ
თქვენთვის ბუდდა, ოქრო თლილი,
და მომავალს უანდერძეთ
ქისა სავსე—ოქროს ღილი!..

**ვასო რონიშვილი**

## აი. ახლა კი დავწინაურდი!!!

ტასიკო და მარფუშა.

**ტას.** (ჯერ წყრომით) ეს რა ამბავია! (ეცინება) აქ სად გაიშხლართე! რა გინდოდა? მოგერია?!

**მარფ.** (წამოდგება) უკაცრავად ქალბატონო! აი აქ რაღაცას ფეხი წამოვკარი... მე მინდოდა მეკითხა ი რაღაც გამხმარი შვინდია, რამდონი ვიყიდო მეთქი!

**ტას.** ჩქარა! წადი, ორი გირვანქა.

**მარფ.** ეხლავ! (ისმის ზარის ხმა)

**ტას.** წადი კარი გაუღე... (მარფუშა გადის) უსათუოდ საშურკა იქნება. (თმებზე ხელს გადისვამს) არ ვიცი, ღმერთმანი, ლამის თავდავიწყებამდის მივიდე... (ფიქრობს) ნეტა რა თავს ვიმტვრევ! ჩემი ქმარი თითონვე მათხოვებს ბებრუხანა უფროსზე... არა სჯობიან საშურკას მივსთხოვდე!.. დასტკბეს ის ვინც ღირსია!—(შემოდის ალექსანდრე ნაზიძე, კოხტად ევროპიულად ჩაცმული, მივარდება ტასიკოს, ჰკოცნის ხელზე)

# თეატრის მუშაკნი



**ან. კავთელი**
„ახალგაზდა მსახიობ ქალი (ბათომში მისი ბენეფისის გამო) სცენის მოყვარეთა ჯგუფებში

მუშაობა დაიწყო ამ ხუთი წლის წინად. მონაწილეობდა ხოლმე სახალხო თეატრებში. შარშან საზაფხულო სეზონში მიიწვიეს ხონის დრამ. საზოგ. დასში. ქართულ სცენაზე გამუდმებით მუშაობა დაიწყო „მოძრავ დასში“—ქიზიყსა და კახეთში. გასულ ზამთრის სეზონში ქუთაისის დრამატიულ დასში მუშაობდა შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. აქ თავის უნარით და გარჯილობით საზოგადოებისა და ამხანაგების ყურადღება დაიმსახურა. ამ ზაფხულის სეზონში მუშაობდა ბათომის სცენის მოყვარეთა ჯგუფში. ემჩნევა უტყუარი ნიჭი, დაკვირვებით და დიდის გრძნობით ასრულებს სახასიათო. ახალგაზდა დრამატიულსა და ეგრედ წოდებულ „გრანდამების“ როლებს. ენკენისთვის 4 მისი ბენეფისია ბათომში შმაევსკის ახალ თეატრში. წარმოდგენილი იქნება კოსოროტოვის ცნობილი პიესა „გაზაფხულის ნიაღვარი“ **დამსახურებულ მსახიობის ვალერიან გუნიას მონაწილეობით** **ი**

## IV

### ტასიკო და ალექსანდრე

**ალექ.** გამარჯვება ტასიკო! როგორ გიკითხო?

**ტას.** გაგიმარჯოს! დაჯექი კარგი! ნუღარ იგრიხები. (დასხდებიან) აბა, რას იტყვი ახალს?

**ალექ.** დღეს სახაზინო თეატრში საინტერესო წარმოდგენაა... მიდის „ღალატი“.. და მერე იცი ვისი მონაწილეობით... აბა გამოიცანი.—

**ტას.** არა, ვერ გამოვიცნობ!.

**ალექ.** მაშ მე გეტყვი! თვითონ ავტორი შეასრულებს ოთარის როლს... ჩვენი თანამემამულე.. ძვირფასი სტუმარი მთელი საქართველოსი... თავადი სუმბათაშვილი... რუსეთში იუჟინად ცნობილი...

**ტას.** მართლაც რომ საინტერესო წარმოდგენაა!...

**ალექ.** ორი ბილეთი ძლივსძლივობით ვიშოვნე.. აი! (აძლევს ერთს) უსათუოდ უნდა წამოხვიდე, დარწმუნებული ვარ არ ინანებ..

**ტას.** (ართმევს) რომ არ წამოვიდე? (თან თვალებში უცქერის)

**ალექ.** ეგ არ შეიძლება!

**ტას.** რატომ არ შეიძლება? შენ კარგათ იცი, მე ჩემ თავს არ ვეკუთვნი და მყავს უფროსი ე. ი. ქმარი ..

**ალექ.** ქმარი გყავს თუ არა, ეგ მე კარგად ვიცი, მაგრამ უსათუოდ უნდა წამოხვიდე ..

**ტას.** არა, ვსთქვათ რომ გავჯიუტდი და არ წამოველი, შენ რას ჰკარგავ?

**ალექ.** ყველაფერს, ყველაფერს! შენი უარის თქმა და ჩემი ვარანცოვის ხიდიდან მტკვარში თავდაყირა ტყაპანი—ერთი იქნება. აი რას დავკარგავ?!.

**ტას.** ეგ არის ვითომ შეგისრულებია...

**ალექ.** თუ კი შენ მოიგებ რასმეს და ისიამოვნებ, უსინდისო ვიყვე, თუ ახლავ არ გადავარდე. მხოლოდ სერიოზულად კი მითხარი.

**ტას.** ერთი ეს მითხარი, საშა: ყველა ამ კომედიებს როდის უნდა მოეღოს ბოლო!

**ალექ.** როგორ, არა გჯერა? შენ კომედიები გგონია? მაშ კარგი ტასიკო; გეფიცები პატიოსნებას, ახლავე დაგიმტკიცო ჩემი სიტყვების სიმართლე... (წამოდგება) არ გაივლის სულ ნახევარი საათი, რომ დარწმუნდები... მე მასხარად ასაგდები არ ვიყავი არ ა-

მედ სიბრალულისა და სიყვარულის ღირსი... მშვიდობით!.. საუკუნოდ! (აღელვებული)

**ტას.** (სტაცებს ხელს) მოიცა გიჟო! სად მიხვალ? (წამოიყვანს წინ, მხარზე ხელს დაადებს, ცოტათ აღელვებული) მაშ გულახდილათ მითხარი მართლა გიყვარვარ?

**ალექ.** (წელში ვნებით ხელს მოხვევს, ტასიკო თანდათან, ეშვება მისკენ) ოჰ, ჩემო მშვენიერო, ჩემო ღმერთავ, ნუ თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მე მხოლოდ შენით ვსცოცხლობ!

**ტას.** (მთლად მოშვებული) წაიღე, წაიღე... დახტკბი, ჩემო კარგო! არ დამლუპოკი... დღეიდან შენი ვარ...

**ალექ.** (გიჟივით დეეწაფება და გაშმაგებით ჰკოცნის, ტასიკოც უპასუხებს)

**მარფუშა** (ნელა კარებს აღებს, რა ნახავს ამათ გადახვეულს, თავს აქნევს ნიშნად სიამოვნებისა, თითს დაუქნევს და ისევ მიიმალება.) ძლივს!

**ტას.** (კონს მოდის) კარგი! არავინ შემოვიდეს.

**ალექ.** ვინც უნდა შემოვიდეს! ახლა მე ღმერთისაც არ მეშინიან, ოღონდ შენ... შენ გიყვარდე ჩემო სიცოცხლევ...

**ტას.** (აწყვეტინებს) დღეის იქით შენი ვიქნები! მხოლოდ ახლაკი წადი.. მარტო დამტოვე...

**ალექ.** ტასიკო, გენაცვა! (აშტერდება და ჩაჰკოცნის)

**ტას.** კარგი, წადი, გენაცვა...

**ალექ.** თეატრში ხომ მოხვალ?

**ტას.** მოვალ!

**ალექ.** სწორედ 8 საათზე კარებთან დაგელოდები.

**ტას.** კარგი

**ლექ.** მაშ ნახვამდის! (ეხვევა)

**ტას.** ნახვამდის! (ალექსანდრე გადის)

**ტას.** (მარტო) მორჩა! უნდა შევასრულო ჩემი ქმარის რჩევა .. არ გაუფხუკიანდები.. რასაკვირველია საშურკას და არა იმის შებრუხუნა უფროსს. ჩემდა უნებურად ერთხელ გამათხოვეს: ჩინოვნიკი სიძე გვინდაო! ახლა ეს ჩინოვნიკი ქმარი მეორედ მათხოვებს — დაწინაურება მინდაო! (გაიგდის) არა ჩემო სოლომონ! ახლა ველარავინ გამათხოვებთ ეხლა მე თვით ამოვირჩევ გულის სატრფოს დაგავთხოვდებიკიდეც. წავიდე მოვემზადო, თორემ ჩემი საშურკა ლოდინით გადაილევა (შევათახში. დიდხანს სცენა ცარიელია. კამოდა სამგზავროთ გაწყობილი, ქოდგით პატარა საკვოიაჟით. დაწერილი წერილით, უძახის მარფას) მარფუშა მარფუშა! (შემოდის მარფუშა)

### V

**ტასიკო** და **მარფუშა**.

**ტას.** იყიდე შვინდი?

**მარფ.** (წინ საფარით ტუჩებს იწმენდს) დიახ ქალბატონო?

**ტას.** იცი როგორ უნდა გააკეთო?

**მარფ.** ჩვენი მეზობლის მზარეულმა მასწავლა... იმერელია, მშვენიერი საჭმელის მომზადება იცის.

**ტას.** მაშ ჩემი სწავლება აღარ გინდა.

**მარფ.** არა, ქალბატონო! ისეთს შეჭამანდს მოგიმზადებთ, რომ თქვენვე გაგიკვირდეთ.

**ტას.** აბა შენ იცი? ღმერთი არ გაგიწყრეს და სულ მთლად არ გამოთვრე.. . მე შეიძლება გვიან მოვიდე. ბატონს უთხარი მარტო ისადილოს... გესმის?!.

**მარფ.** მესმის ქალბატონო!

**ტას.** ჰო და ეგრე... მუყაითად იყავი.

**მარფ.** რომ მკითხოს რა უთხრა? სასეირნოთ წავიდა მეთქი?

**ტას.** აბა შენ ვინა გკითხავს სად წავედი. უთხარი არ ვიცითქო! აი ეს ბარათი მიეცი, ახლაკი შენ საქმეს მიხედე. (გადის ტასიკო)

**მარფ.** (მარტო) გასწია! მე ვერ მომატყუებ ქალბატონო! (აჯავრებს) „სადილად ვერ მოვალ!“ მე კი არ ვიცი, რომ არ მოხვალ! იმ გაწკეპილთან უფრო სიამოვნებით ისადილებ. დამაცა, შე ტიკინავ, ახლა კი ხელში დაგიჭერ. სამ საათამდის არც ბატონი მოვა; დამრჩა ბურთი და მოედანი. ახლაკი წავიდე ჩემი[ს]ვასილი ამოვიყვანო სანახშირედან, თორემ მეორედ აღარ მოვა. . (გადის. დიდი პაუზა. შემოდის მარფუშა, უკან მოსდევს ვასილი. აქეთ იქით იცქირება)

VI

**მარფუშა და ვასილი.**

**მარფ.** მოდი ვასია, მოდი ნუ გეშინიან. საათის სამამდის თავისუფლები ვართ თავდაყირაც რომ ვიკოტრიალოთ, ხელს ვერავინ შეგვიშლის.

**ვას.** (ათვალიერებს) არც თუ ისეთი მდიდრები ყოფილან შენი ბატონები.

**მარფ.** არ მოგწონს? აბა, ჩამოჯექი აი აქ დივანზე— (სხდებიან ერთად) ჩემ სამზარეულოს აქ არა სჯობიან? მეტადრე შენი სანახშირე..,

**ვას.** (იცინის) ჰო, ჩემს სანახშირეს კი სჯობიან... კარგი-კი იქნებოდა, მარფუშა, ამ მორთულ დარბაზში ცოტა გადაგვეკრა.

**ა. ბაქრაძე**

(დასასრული იქნება)

# ვაჟა-ფშაველა სიყმაწვილეში

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 35)

ამ ამბის შემდეგ ერთმა კვირამ გაიარა. დადგა ორშაბათი, „დღე ვაჟა-ფშაველას წამებისა“, როგორც ამხანაგმა ლადო აღნიაშვილმა იმახვილა ვაჟაზე. დღეს ვაჟა-ფშაველა დიდ ფაცი-ფუცშია. თვალ-საჩინო სწავლისთვის საგნებს აგროვებს, ჯავრობს, ღელავს—გუშინ დაჭერილი კალია სადღაც გაჰქცევია და ეს უმღვრევს სისხლს... ახლა კიდევ ხელ-მეორეთ უნდა წავიდეს მინდორში, იპოვნოს და მოიყვანოს კიდევ ერთი კალია, რომ გაკვეთილის მსვლელობას მარცხი არ დაემართოს. ის ასეც მოიქცა. შვვე რვა საათია... განსაცდელის ზარმა დაჰკრა. პაწაწინა ბავშვები დაამწკრივა ვაჟამ ეზოში, თითონ ბოტივით წინ გაუძღვა და კლასში შეიყვანა. უფროსი კლასების მოწაფეები ყველანი იქ ვიყავით. ასისენტებათ იყვნენ: ფარნაოზ ნათიშვილი, მასწავლებელი პირველ-დაწყებითი სასწავლებლის სემინარიასთან, არისტო ქუთათელაძე, ქართული ენის მასწავლებელი სემინარიაში და თვითონ დირექტორი მოწაფეები რეცენზენტების როლსა ვთამაშობდით და ყველას ხელში ქაღალდი და ყარანდაში გვეჭირა შენიშვნების დასაწერათ. არ გასულა სამი წუთი, რომ დირექტორი შემოვიდა და კლასში წესიერება დამყარდა.., იგი მივიდა ვაჟასთან, რაღაც წასჩურჩულა და უბრძანა გაკვეთილი დაეწყო. გაკვეთილი ქართულ ენაზე იყო მიცემული პირველი ნაწილი გაკვეთილისა თითქო წესიერად მიმდინარეობდა; ყოველი მეთოდიური წესი იყო დაცული, ყველა დიდაკტიური მოძღვრება შესრულებული.. მეორე ნაწილი გაკვეთილისა კი ნამდვილი „წამება“ იყო ვაჟასთვისაც და მოწაფეებისთვისაც. არ ვიცი რათ არივ-დარიეს მშვენივრათ დაწყობილი საქმე. მოწაფეები დაღალა, დაქანცა, თითონაც დაიქანცა, ოფლი თქრიალით ჩამოსდიოდა, დისციპლინა დაირღვა, თვალსაჩინო საგნები მიყარმოყარა და კარგათ დაწყობილი საქმე უშედეგოთ გაათავა... გაკვეთილის შემდეგ ყველანი გარეთ გამოვედით, ამხანაგებს ხმა-კრინტი არ დაგვიძრავს, რომ ისედაც გაბოროტებული გაბუებული ვაჟა არ გაგვეჯავრებინა. თვითონ ისიც არ მოგვეკარა, რაიმე შენიშვნის გაგონება არ უნდოდა. დირექტორმა შენიშნა ყველა ეს და ვაჟა თავისთან წაიყვანა, ჩაი დაალევინა, ასაუზმა თავისს ოჯახში. მალე ვაჟა კმაყოფილი დაბრუნდა იქიდგან. ჩვენც ძალიან გავიხარეთ, გავლაღდით, გავმხიარულდით და გულ-დამშვიდებით მოველოდით საღამოს, როდესაც ვაჟას გაკვეთილი გარჩეულ იქნებოდა დირექტორის თავმჯდომარეობით.



**პრაპ. შალვა ხმალაძე**

ორჯერ დაჭრილი ოსმალეთის საზღვარზე.

დადგა ეს დროც... ჩვენ ყველამ თავი მოვიყარეთ სკოლის დარბაზში. დირექტორმა ჯერ ვაჟას მისცა წინადადება, თვით ამას აღენუსხა თავისი გაკვეთილის ნაკლულევანება. ვაჟამაც დაიწყო თავის გაკვეთილის ნაკლულევანებაზე

დაპარაკი. მერე ჯერი ჩვენზე მოდგა. უნდა გეუურებინათ რა ქარ-ცეცხლში გაატარეს ამხანაგებმა ეს გაკვეთილი, რა კრიტიკის ხორხოშელა დააყარეს ჩვენს მომავალ სიამაყეს ამ პაწაწინა კაცებმა! ლადო ადნიაშვილის კრიტიკა ხომ მწარეზე მწარე იყო. ვაჟაც ცეცხლობდა, გული საგულეში აღარ ეტეოდა; კვებულა მოზვერივით დახტოდა, მაგრამ ვერა უშველარა—ამხანაგების ქარ-ცეცხლი ვერ აიცილა თავიდან, იგი ყველას პასუხს აძლევდა, ყველას უმკლავდებოდა, მაგრამ ამაოთ. დირექტორმა ცოტახნობით შეწყვიტა კამათი, მოინდომა კრიტიკის ქარ-ცეცხლის ჩანელება, განკიცხვის შთაბეჭდილების შესუსტება და გაკვეთილის ღირსებაზე დაგვაწყებინა ლაპარაკი. პირველად მე მკითხა: მეც გაკვეთილის პირველს ნახევარს მივაქციე ყურადღება და ბევრი კარგი მხარეები გადაუშალე კრებას ამ გაკვეთილის შესახებ. ახლა-კი ვაჟა-ფშაველას არწივისებურ განრისხებულ თვალებს სიმშვიდე მიეცა, სახე დაუმშვიდდა და ამაყმა გულმა გამოიღვიძა.. ფარნაოზ ნათიშვილმა და არისტო ქუთათელაძემ უქეს ვაჟას ქართული ენის ცოდნა, ტერმინების გათვალწინებისა და საგნის შესახებ და ერთხმივ აღვნიშნეთ ყველამ საქმეში გაკვეთილის კეთილ-სინდისიერად შესრულება.

აი ასე გათავდა ეს თვალ საჩინო ამბავი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და უნდა გატეხით გითხრათ, რომ იგი მასწავლებელი არ იყო ზეციდგან მოვლენილი, მას არ ეტყობოდა უნარი, ბუნებითი ტაქტი ამ მოღვაწეობის; მას ზეცა ზრდიდა და დალოცვილი სამშობლო მიწა ანოყიერებდა სულ სხვა მოძღვრებისათვის, სულ სხვა სამსახურისათვის და აკი კიდევაც გაიფურჩქნა და მადლიანი ნიჭით ჩვენს ქვეყანას სულ სხვა სახით,სახით მესიისა, მოევლინა და თავისი უკდავი კალმით გააკეთა თავისი სათაყვანო ერისათვის ის, რის გაკეთებას მიწიერი ვერ შესძლებდა. ვაშა, ვაშა მის დიდებულს სახელს, მის დიდებულ ერს, რომელმაც აღმოაცენა ეს მცენარე ნაყოფიერი და დაუვიწყარი.

ალექ. ნათაძე

# დღიურიდან

## პასუხად ქ-ნ ცაცას *)

... თქვენმა გამოხმაურებამ დამარწმუნა, რომ ჩემი მოწოდება, ქართველ ქალთა ბეჭდვითი ორგანოს დაარსების შესახებ, არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. მხოლოდ ნება მიბოძეთ ცოტა რამე მოგახსენოთ თქვენ მიერ განზრახულ ჟურნალის დაარსების გამო. გეთანხმებით, რომ არც ისე ადვილია მისი დაარსება, მაგრამ მოგეხსენებათ „თუ გული გულობსო“...

პირველ ხანებში ჟურნალი თვეში ერთხელ მაინც რომ გამოვიდეს, სულ არარაობას ესა სჯობია. გარდა ამისა უმჯობესია სათაური ჟურნალს ჰქონდეს: **„ქართველი თანამედროვე დედა“** და არა „თანამედროვე ქალი“ (როგორც თქვენ განგიზრახავთ), რადგან პირველ ყოვლისა ქალის დანიშნულება—დედობაა, და არა მარტო ქალობა; განზრახული სათაური კი ჟურნალისა რაღაცა მყვირალა გამოდის და ჩვენი საზოგადოება შეიძლება შეაშინოს და დააფრთხოს კიდეც, ვინაიდან დღევანდელ „მებრძოლ“ სუფრაჟისტებს მოაგონებს. მით უმეტეს, რომ პირველი და უმთავრესი მისია ჩვენი მანდილოსნებისა უნდა იყოს შებრძოლება იმ საშინელ ხენთან, რომელსაც დეგენერაცია ეწოდება და რომელიც ჩვენს ერს დედა-მიწის პირისაგან აღგვას და გაქრობას უქადის!..

მართლაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მთელი ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრება უ წმ. ნინოდ, უ თამარ-მეფოდ და უ ქეთევან წამებულოდ!

ეს ჟურნალი რაც შეიძლება ნაკლებ ფასში უნდა იყიდებოდეს, თუ მოსახერხებელია ირველ ხანებში უფასოდაც კი რომ იყვეს, უფრო უკეთესია.

თქვენს წერილში, სხვათა შორის, ბძანებთ: „განა არ შეიძლებოდა არსებულ ჟურნალ-გაზეთებში დაეთმოთ ერთი კუთხე ქალებისათვის“!?—ამაზე უნდა მოგახსენოთ,

*) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ

რომ ჩვენს ჟურნალ გაზეთებს ვიწრო ჯგუფური ხასიათი აქვთ და ამიტომ სპეციალურ ჟურნალის დაარსება სჯობიან...

დასასრულ საქმის დამწყობთ ვუსურვებ ცხოველ-მყოფელ და დაუშრეტელ ენერგიას, რომ დასახული მიზანი სავსებით განეხორციელებინოთ

დავშთები პატივისცემით **ერმალოზ კახი**

# გულს ნუ ავიცრუებთ.

(წერილი ბაქოდან)

რომელი მხარეც უნდა აიღოთ დღეს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისა: პრესსა, თეატრი, მუსიკა და სხვ., ყველგან ზრდისა, გაძლიერებისა და განვითარების ფაქტი უნდა ვაღიაროთ.

ჩვენ დღეს გვაქვს განსაკუთრებული საზოგადოება—ფილარმონიული, გვყავს გუნდები თვით პროვინციებშიაც-კი, გვყავს ეროვნულ ჰანგთა დამამუშავებელნი ნიჭიერი კომპოზიტორნი, თვალსაჩინო მხატვარნი, მოქანდაკენი...

თეატრალურ საქმეშიაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ჩვენი საზოგადოება ნათლად გამოერკვია და ხარბად დაეწაფა ეროვნულ ფორმებში ჩამოსხმულ მშვენიერებას!.. დიახ, ქართ. თეატრი დღეს ერთ ერთ უმთავრეს გამაერთიანებელ-გამაერთსულოვნებელ წყაროდ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მატიანეში. წინად თუ მხოლოდ თბილისში მოიპოებოდა ქართული დასი, დღეს სასცენო მოღვაწეთა რამოდენიმე წრე მუშაობს ჩვენს სხვადასხვა დაბა-ქალაქში.

ერთ ასეთ პროვინციად უნდა ჩაითვალოს ქ. ბაქოც, სადაც ათ წელიწადზე მეტია, რაც დრამატიულ ხელოვნებას საპატიო ალაგი ჰქონდა დათმობილი.

იყო დრო, როდესაც აქ ქართულ თეატრსა და ქართველ საზოგადოებას ურთიერთისა არაფერი გაეგებოდათ-რა... მაგრამ დრონი იცვლნენ, და ასეთი უფერულება წარსულმა დაისაკუთრა. უიმედობისა და უსიცოცხლობის დრო გაჰქრა, წავიდა. ეროვნულმა თეატრმა, როგორც სხვაგან, აქაც მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა და ფრთა გაშალა. თუ რამდენიმე წლის წინად ადგილობრივი მაღალი საზოგადოება მხოლოდ შემთხვევით ესტუმრებოდა ქართ. წარმოდგენებს, რამე ქველმოქმედურ მიზნით ან და თავისი ცრუ მამულიშვილურ გრძნობათა დასაკმაყოფილებლად, სამაგიეროდ ორ უკანასკნელ სეზონში მასაც თითქმის სისტემატიურად ნახავდით აქ. ამის მიზეზი, სხვათა შორის, რასაკვირველია, იყო გაცილებით უკეთესი მხატვრულ-ხელოვნური წარმოდგენების ხილვა, ბ.ბ. შ. დადიანისა და ვ. შალიკაშვილისაგან დადგმული.

როგორც ვთქვი, ამ ათი წლის განმავლობაში ადგილობრივ სასცენო მოღვაწეთა მხრით მუშაობამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. როგორც უკანასკნელ წლის საანგარიშო წიგნიდან სჩანს, თითო წარმოდგენას, ორთაშუა **300—400** მაყურებელი დასწრებია. და განა ეს რიცხვი იმას არ ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება განვითარება-გართულების გზაზეა შემდგარი?—ჩვენი დღევანდელი გემოვნება განვითარებული მაყურებელი დღითი დღე იზრდება, ნელნელა, შეუმჩნევლად, რომელსაც სწყურია უფრო კარგი ხელოვნების ტაძარი, დიდ მოღვაწეთათვის კენ გზის გასაკაფავად...

და აი, ასეთ დროს, ნაცვლად ახალი კვალისა და მეტი ენერგიისა, რას ვაიგონებთ: „წელს ბაქოში სხვადასხვა მიზეზების გამო სეზონი არ შედგებაო".

ეს „სხვა და სხვა მიზეზები" ჯერ კიდევ ჩვენი განუკურნებელ-განუშორებელი სენია. ნეტა ვიცოდეთ, რა არის ასეთი შეუძლებელი? ადვილი ასახსნელია—შეთანხმების და შეკავშირების თვალსაზრისის უქონლობა. ქართველთა უდიდესმა წყლულმა, რაზედაც ბევრს სწერენ ჩვენს პრესაში, სახელდობრ: საზოგადო საქმეთა სათავეში ჩამდგართა დაუდევრობამ, გულგრილობამ და „მოქანცვამ", საზოგადოების წინაშე ერთხელ კიდევ გამოყო თავი. მაშინ, როდესაც უბრალო დაბასოფლებშიაც კი მტკიცედ იკიდებს ფეხს სასცენო მოღვაწეობა და წინ მიდის, აქ ფეხმოკიდებულ და ფესვებ-გადგმულ საქმეს ბოლო უნდა მოეღოს და ჩაიფუშოს!..

იტყვიან — დღეს „სისხლის წვიმების დროს“ რა გვეთეატრებაო. მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ სწორედ დღეს არის იგი მეტად საჭირო და დღესვე-კი ეღება ბოლო. ვინ იცის, მართლაც ასე თუ იქნა, რამდენ ხანს არ ჩადგეს იგი თავის კალაპოტში. გადაჩვეულ-გადაგვარებულ ხალხის კვლავ გადმორჯულება-გადმოგვარება არც ისე ადვილია! „თუ გული გულობს“, ნათქვამია, დაშეუძლებელი და ძლიერ დამაბრკოლებელ მიზეზებს ჩვენ არც ერთ მხრიდან არ ვამჩნევთ. ნუ შევუშინდებით წარსულ მცირე დეფიციტებს,—ნუ თუ ბაქოს ხალხა მას ვერ აინაზღაურებს?

არა, საჭიროა მხოლოდ ერთი გამაერთიანებელი ძაფი, ერთ დედა აზრით მოქმედება, ერთსულოვნობა, კვლავინდებური შრომა, მეტი ფხა და უნარი.

მაშ ნუ გამართლდება ეს ხმა. თეატრის გემოვნება გაღებულ ხალხს ხელოვნების ტაძრის კარს ნუ დავუხშობთ, თორემ ისტორია დაგვგმობს, მომავალი შეგვაჩვენებს.

მაშ გაუმარჯოს კვლავინდებურ ცდას და ნაყოფიერ მუშაობას!

ვ. დ—შვილი.

# წვრილი ამბები

**ქართველ მსახიობთ** თბილისში კრება ჰქონდათ ენკენისთვის 1 დას ს შესადგენად. დასში გაიზრახულია მოიწვიონ ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი ალ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ვ. აბაშიძე, გ არადელ-იმხნელი, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი პ კორიშელი, ი. თარალაშვილი, ბ. ახოსპირელი და სხ

**სახალხო თეატრის** ქართული წარმოდგენების სეზონი დაიწყება ენკენისთვის 15 „მეფე“-თი რეჟისორად მიწვეულია კ. შათირიშვილი.

**სახალხო წარმოდგენების** მმართველ წრის გამგეობაში აირჩიეს გ. ცინცაძე (თავმჯდ.), ი. ბესელიძე (თავ. ამხ.), ან. ჭიაბრიშვილი (ხაზ.), გ. მაჭავარიანი, ს. სალირაშვილი, გ. ბეჟანიშვილი, პ. მანჯგალაძე და ს. ნატროშვილი

**ქუთაისის დრამ. საზ** კრებამ მარიამობისთვის 25 გამგეობას ნება მისცა 5000 მ. დახარჯოს სეზონის საწარმოებლად.

**ქუთაისის დასში** იწვევენ ეფ. მესხს, ნ. ხეიძეს, მ მდივანს, ა. იმედაშვილს, ა მურუსიძეს და სხ.

**ალ. წუწუნავას** ქუთაისში იწვევენ რეჟს.

**სამუსიკო სკოლაში** ვიოლონის მასწავლებლად მიიწვიეს ცნობილი ვოლფ-იზრაელი.

**ისტ. თ. ჟორდანია** განკურნების გზაზეა. როგორც შევიტყეთ, განკურნების შემდეგ თბილისშივე დასახლდება და საისტორიო შრომას განაგრძობად

**პრ. ნ. მარრი** გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა.

**ილია ჭავჭავაძის** პანაშვიდი გადიხადეს მარიამობისთვის 29 მამადავითში ანტონ ეპისკოპოსის მღვდელმსახურობით, პანაშვიდს, სხვათაშ რის, პროფესორი ა. ცაგარელიც დაესწრო.

— ხალ კლუბში ორკესტრი გაადიდეს 33 კაც-დე, კონცერტი კვირაში ორჯერ გაიმართება, ვოლფ იზრაელის ლოტბარობით. ქართული წარმოდგენები ჩვეულებრივ გაიმართება კვირაში ერთჯერ კლუბი საზამთრო შენობაში გადავა ენკენისთვის 25—ს.

— საოპერო სტუდია თბილისში დააფუძნა თბ. საიმპ მუსიკალურ სკოლის მასწავლებლად ნამყოფმა პროფესორმა რიადნოვმა.

— სახაზინო თეატრი საზამთრო სეზონისთვის სასწრაფოდ ემზადება.

— „არშინ მალ ალანის“ მთარგმნელი სცენის მოყვარე ვანო გიგოშვილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

— საბურთალოს დრამ. წრის თავმჯდომარე ლუკა ბაქრაძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს (ამხედრო კონტროლში ჩარიცხეს).

— მუზიკის დამკვრელი ბახშო დღეს ხარფუხის კლუბში დაუკრავს მუზიკაზე.

**დავით ჩიჯავაძემ** შესწირა სამის წლის ჟურ. “თეატრი და ცხოვრება“—1) ს. ქვიშხეთის დ ყიფიანის სახელობის სამკითხველოს 1914 წ. (ყდით, მე-7 ე ნომრიდან). 2, სუმბათოვისას—1915 წ. (ყდით სრულად) 3„ ვერის სამკითხველოს—1916 წ. (უყდოთ მარიამობისთვემდე).

### რუსთა შორის

**ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინის** ახალი პიესა „ღამის ნისლი“ პსიქოლოგიური დრამაა. პიესაში აღძრულია წლოვანობისა და გრძნობის საკითხი.

**რუსეთის სიტყვიერების** მათუსალას მხცოვან მწერალს პ დ. ბობორიკინს დაბადების 80 წ. შეუსრულდა. მწერლობა დაიწყო დრამატურგობით დასწერა 30-დე პიესა, მრავალი რომანი და სხ. წერილები. მწერალი ამ ჟამადაც კარგაა და ფხიზლად მოაზროვნე.

— ახალი უმ-დლესი სამუსიკო სასწავლებელი ფუძნდება პეტროგრადში პეტროგრადელ მუსიკოსთა თაოსნობით. სკოლის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს მუსიკის მიმდევართა თეორეტიულ და ესთეტიურ განათლება-განვითარებას. სპეციალურ საგანთა გარდა ასწავლიან: ზოგადი ლიტერატურის ისტორიას, პედაგოგიკას, ფილოსოფიის ისტორიას, ესთეტიკას, პსიქოლოგია და სხ.

— მოლაშქრეთა გაწვევის გამო რუსული სათეტრო ჟურნალი „Р-и Ж“ სწერს: დღემდე რუსის მსახიობი თავგამოდებით მიდიოდა ბრძოლის ველზე სამშობლოს დასაცავად და არც ახლა დაიწევს უკან მაგრამ თუ ამ ჟამად წითელ და ლურჯ ბილეთიანი მსახიობნი გაიწვიეს—ჩვენს თეატრს სულის ჩამდგმელი ძალა გამოეცლება და თეატრი დაიმხობაო. თუ კი გაზეთის თანამშრომელთ მისცეს შეღავათი, როგორც თავდაცვის მოღვაწეთ, მით უმეტეს მსახიობს უნდა მიეცეს ასეთი შეღავათი რომ ხელოვნების საშუალებით ლაშქრის ზურგს უკან დარჩენილია სულიერი სიმტკიცე დაიცასო.

— რუსეთში ამ სეზონისთვის ჯერ ბევრი თეატრია კარგამოხურული უდასობით.

— უქაღალდობის გამო ზოგიერთი გაზეთის გამოცემა შეჩერდა.

## კოოპერატორთა შორის

### პირველი კოოპერატიული სასადილო

კავკასიელ ქალთა საზოგად-ის თაოსნობით გაიღო თბილისში მარიამობისთვის 28. სასადილო მოთავსებულია ქაშვეთის პირდაპირ, მშვენივრად მოწყობილიდა ყველასთვის მისადგომი. საზოგადოება საერთაშორისოა—წევრებად მიიღებიან ყველანი სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად. საწევრო გადასახ-3 მ., წილის—10 მ. გამგეობა: ნ ვ. აბროსიმოვი (თავმ)., მ. ა. ალშვანგი (მდ.), წევრნი: ქ-ნნი ვ. გ. ლაფერაშვილისა, ნ. გველესიანისა, ყაზაროვისა; გ. ძ. ა. ბარსამოვი, ა. მეკკელი, ნ. ა. კოვალევი; კანდიდატები—ალიხანოვისა, ა. ი. ბილიბინისა, ნ ი. ნაკაშიძისა. სასადილოს გაღებას დაესწრენ პრესის, საზოგადოებათა და სხ წარმომადგენელნი. პირველი იტყვა წარმოსთქვა ნ. ა. აბროსიმოვმა, შემდეგ მიულოცეს მ. ჯაბარმა (ქალაქის სამარ. მხრით), ვესელოვზოროვმა. კავ. კოოპ. კავიშრის მხრით—კანდელაკმა, ექ. ქალმა თარხანოვმა გ. მ. თუმანიშვილმა, მეკკელმა, გ. ნ. დიასამიძემ, მ. ბერბერიანმა, ნინო ნაკაშიძემა და ს. დამსწრეთ ჩაითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდენ. ეს სასადილო მთელს რუსეთში პირველია, მის გაღებას ყველანი სიხარულით შეხვდენ და დიდძალი საზოგადოება ეტანება კერძი საღია და შედარებით იაფი (აბონომენტი—90 კ, შემთხვევით—1 მ.—ერთი კერძი—ორს ეყოფა)

— **სოფელ ახალ გორში** (დუშეთის მაზრა) გაიღო კოოპერატიული დუქანი: ხალხი უსაზღვრო სიხარულით მიეგება ამ ფრიად სასარგებლო საქმეს, რადგან მთელი ქსნის ხეობის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ ახალგორელ მოვაჭრეებისგან რომელნიც ჩალის ფასად იძენდნენ ხალხისიგან მთელ მოსავალს.—ეს საამხანაგო კოოპერატიული დუქანი ეღირსა ხალხს თ-დ დ. ერისთავის მეცადინეობით, რომელიც ამოირჩიეს გამგეობის თავჯდომარედ, წევრებად: მღვდელი ზაქარია ბერიძე ს. დოლმ ზაშვილი, გ. ჩრდილელი. და ს. ფსუტური. ვუსურვებთ წარმატებას ხალხის საეთილდღეო

ქრ. ფიცხელაური



**ს. ველისციხეში** მარიამობისთვის 2 მოსულ მოსწავლეთა თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოადგინეს ირეთელის „სოფლის გმირები“.

აღმასრულებელთა შორის აღსანიშნავია გ. ბეჟანიშვილი (მკლაკაძე), რომელმაც თავისი მეცადინეობით უოველივე ნაკლს სძლია და დამსწრე საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. ხაზ—გასასმელია აგრეთვე მ. ხატიაშვილისა (ანიკო), რომლის ბუნებრივი კვნესა მაყურებელთ გულის სიღრმეს სწვდებოდა. დანარჩენიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

ეზოს უშოვნელობის გამო წარმოდგენა კლუბის დარბაზში გაიმართა. ხალხი ისე მრავლად მოაწყდა რომ, რო იტყვიან ნემსი ვერ ჩავარდებოდაო სწორედ ისე იყო აქაც. უადგილობის გამო გაიმართა ჩვეულებისამებრ ერთი ალალ-მაყალი—საყვედური გამგისადმი სტუდენტ ალ. ქათამაშვილისადმი, რომლის თაოსნობითაც გაიმართა წარმოდგენა.

ბოდიში უნდა მოუხადნა პატივცემულ საზოგადოების წინაშე სტ. ქათამაშვილს, რომელსაც სწამს ხახალხო საქმე—კულტურული მუშაობა ხალხის კეთილ-დღეობისათვის, და აეხსნა მიზანი წარმოდგენისა: დიადი მნიშვნელობა სახალხო სამკითხველოსი, რომლისთვისაც ხალხმა არაფერი არ უნდა დაზოგოს, მაგრამ მას ამის თქმა არ დაატალეს.

უოველი შეგნებული ადამიანი, რომელიც-კი დაესწრო მის მიერ გამართულ წარმოდგენას, დიდი სიამოვნებით აღნიშნავს მას, რომელმაც სამკითხველოს მისცა ხალასი ფული 61 მან. და 52 კ. და მით უზრუნველჰყო სამკითხველო ერთი წლის ჟურნალ-გაზეთებით.

დიდ! სტუდენტი ალ. ქათამაშვილი ერთად ერთი ახალგაზრდაა ჩვენს სოფელში, რომელიც აღჭურვილია სახალხო ინტერესებით და ამისათვის ის მხოლოდ მადლობის ღირსია და არა გაკიცხვის.

**დამსწრე**

## უკანასკნელი ცნობა

✦ **სახალხო სახლთან** არსებულ ქარ. წარ. მმართ. წრის სცენის მოყვარეთა კრება შესდგა მარიამ. 31 გამგეობაში ორი სრულ უფლებიან წევრის ას რჩევადა და სცენის მოყვარეთა დასაჯილდოვებელ სახსრის გამოსაძებნად' კრებამ გადასწყვიტა: ა) ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას, რომ ყველა 50 მანეთიანი დღე წრეს თითო თუმნად დაეთმოს; ბ) დეპუტატთა საკრებულოს წინაშე აღიძრას შუამდგომლობა—გადაწყვეტილ სუბსიდიის—800 მან. კიდევ მიუმატონ და გ) სეზონის განმავლობაში სამი წარმოდგენა მაინც გაიმართოს სცენის მოყვარეთა დასაჯილდოვებლად. ამ ჯილდოს გასაწესრიგებლად არჩეულ იქმნენ: დ. ბაქრაძე, გ. ფრონისპირელი და კ. ხახანაშვილი. წარმომადგენელთა არჩევა გადაიდო.

✦ **ვალ გუნიას** საიუბილეო სურათი პეტროგრადში გამოსცა ალ. არაბ ძემ. სურათი დიდი ზომისაა, საუცხოვოდ დაბეჭდილი და ღირს 60 კ.

## ჟურნალის სასარგებლოდ

ქ-ნო რედაქტორო!

ამასთანავე გაახლებთ ხუთ მან. თქვენ პატივცემულ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ. „თეატრი და ცხოვრების“ ხელის მომწერი **გიორგი ბაქრაძე.**

— **კირ. მაჭარაძისაგან** მივიღეთ **ოცი მან.** „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ



**გიორგი ლომთათიძე**

მისი გარდაცვ. ორმოცის შესრულების გამო, დღეს, ენკენისთვის 4, მისი პანაშვიდია.

## სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვის ხელმძღვანელობით.

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე. 1, დიქცია და დეკლამაცია; 2, პლასტიკა და გიმნასტიკა; 3, თეატრის ისტორია, 4 ესთეტიკა; 5, პრაქტიკული მეცადინეობა სცენაზე.

ცნობათა შეტყობა შეიძლება ოთხშაბათობით და კვირაობით სალ. 6—7 ს. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელ. 8—43.

## ახალი კლუბი

1 კვირის პროგ 4 ენკ.-11 ენკ.

ორშაბათი— რუსული ოპერეტა

სამშაბათი - სიმფონიური კონც.

ოთხშაბ. სინემატოგრაფი.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. (უფას); საზანდარი

პარასკ.—სინემატოგრაფი; მუსიკა.

შაბ. — სიმფონიური კონ.

კვირა — მუსიკა; სინემატ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ..

წარმოდგენისა და სინემატოგრ. სალ. $8^1/_2$ სა

**შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლო. სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

## ხაროშვხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 4—ენკ.—11 ენკ.

კვირა — ბახშოს კონცერტი.

**ორშაბათი**—სომხურად არშინ მალ-ალან

**სამშაბათი**—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

**ოთხშაბათი**—ქართული წარმოდგენა; ბალში სამხედრო— მუსიკა

**ხუთშაბათი**—ბენეფისი სარაჯიშვილისა

**პარასკევი**—სინემატოგრაფი, სიმებ. ორკეს.

**შაბათი**—ელ. ჩერქეზიშვილის 30 წ. მოღაწ. სადღესასწაულოდ „ხანუმა“

**კვირა**—რუსული ოპერეტა.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა




რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**